

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა

1. კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება (იანვარი);
2. 2022 წელში რგპ ფონდიდან დაფინანსებული პროექტებისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი პროექტების განხორციელების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (იანვარი-თებერვალი);
3. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული სამუშაოს შესახებ (თებერვალი);
4. 2023 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (თებერვალი-მარტი);
4. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული სამუშაოს შესახებ (მარტი);
5. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული სამუშაოს შესახებ (აპრილი);
6. ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა (მარტი-აპრილი);
7. ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების განხილვა (აპრილი - ივნისი);
8. ვანის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული მუშაოების შესახებ (აპრილი-ივნისი)
9. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების განსაზღვრის და დგომა/გაჩერების წესების დადგენის შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტის შემუშავება (აპრილი-ივლისი);
10. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტის შემუშავება (ივლისი-სექტემბერი);
11. ვანის მუნიციპალიტეტში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა (წლის განმავლობაში);
12. გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხების განხილვა (წლის განმავლობაში);
13. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების ინფორმაციის მოსმენა მიმდინარე მუშაოების შესახებ (წლის განმავლობაში);
14. კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება (წლის განმავლობაში);
15. კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა სამუშაო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და გაწეული მუშაოების შესახებ (ივლისი, დეკემბერი).